ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5898585

ნომერი: AR1891752

თარიღი : 07.04.2022

გაცემის თარიღი : 14.04.2022

გაცნობის თარიღი : 14.04.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა, N 45ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 7 აპრილს №AR1891752 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5865756 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857878 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, დავარის ქუჩა №45ა-ში მდებარე №01.72.14.037.036 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა ვადა 2022 წლის 21 მარტიდან 2024 წლის 21 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5865756 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857878 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 31 მარტიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5865756 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა და შესაბამისად ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2022 წლის 24 მარტის №AR1888808 განცხადებაზე წარმოდგენილ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მშენებლობის ვადად მითითებული იყო 24 თვე. გაცნობებთ, რომ №865756 ბრძანება გამოცემულია 2022 წლის 31 მარტს, შესაბამისად მშენებლობის ვადაც განსაზღვრულია 2022 წლის 31 მარტიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით (მოთხოვნის შესაბამისად 24 თვით). აქედან გამომდინარე, სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5865756 ბრძანებით სწორად განისაზღვრა მშენებლობის ვადა 24 თვით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5865756 ბრძანებაში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში, შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5865756 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გსურთ მშენებლობის ვადის ცვლილება ან/და განახლებული კალენდარული გრაფიკის შეთანხმება (ეტაპების შეცვლილი ვადებით) საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ სამსახურის ოფიციალურ ვებ.გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები - მშენებლობის ნებართვა - საცხოვრებელი ობიექტები - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი > განსაზღვროთ შენობის პარამეტრები, ქმედებებში აირჩიოთ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, ხოლო ქვექმედებებში - ვადაგაუსვლელი. განცხადების დარეგისტრირებისას პროგრამა pdf ფაილის სახით ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე და პასუხი გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.